ხელშეკრულება №2-1

ქ. თბილისი 3 იანვარი 2012 წელი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე3 მუხლის 1 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად **ს.ს.ი.პ. „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს** მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სააგენტოს არასაბიუჯეტო სახსრებით, ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „გარემოს ეროვნული სააგენტო“ წარმოდგენილი** მისი უფროსის **შალვა ჯავახაძის** სახით, და მეორეს მხრივ, (შემდგომში – მიმწოდებელი), ს.ს „გლობალ ერთი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **გიორგი მაჩიტიძის სახით,** ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემდეგი სახის მომსახურება: ინტერნეტ მომსახურება **CPV კოდით 72400000**

* ინტერნეტის ქსელით სარგებლობა სიჩქარით 2 მ/ბ 24 საათის განმავლობაში, არა სამუშაო დღეების ჩათვლით.

2 შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია –

* ინტერნეტით სარგებლობა სიჩქარე გლობალური 2 მ/ბ სიჩქარე ლოკალური 10 მგბ/წ 24 საათის განმავლობაში, არა სამუშაო დღეების ჩათვლით;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება ყოველთვიურად შეადგენს:

- ინტერნეტ მომსახურება **180.00** (ასოთხმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით;

3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2160.00** (ორიათას ასსამოცი)

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. ინტერნეტით მომსახურებისა მომსახურეობის ვადა განისაზღვრება **2012 წლის 3 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5.2 შესყიდვის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი აღმაშენებლის გამზირი №150

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (ანგარიშფაქტურა)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების ყოველი მიღება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ტელეკომუნიკაციის სამსახურის უფროსი - თ. გობეჯიშვილი

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4 ანგარიშსწორების საფუძველია წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი და

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
81.1. მოითხოვოს მომსახურების შეუფერხებელი გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მიმწოდებლის" ყველა ვალდებულების შესრულება;
8.1.2. გამოიყენოს ინტერნეტის ყველა სტანდარტული რესურსი კლიენტ პროგრამების მეშვეობით.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1 უზრუნველყოს გლობალ ერთის წარმომადგენელთა დაშვება თავის ტერიტორიაზე ქსელში ჩართვის სამუშაოების ჩასატარებლად, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საინსტალაციოდ.
8.2.2 არ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობის უფლება.
8.2.3 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.3.2. უარი განაცხადოს ინტერნეტ მომსახურების მიწოდებაზე, თუ „შემსყიდველი" არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს ;
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მომსახურების გაწევისას პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია დავალიანებისა და გადახდის შესახებ.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.2. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარე უფლებას იტოვებს დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ [illegible]

ულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრუ-ლებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვა-დასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს –სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ტელეკომუნიკაციის სამსახურის უფროსი - თ. გობეჯიშვილი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდ-ველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებ-ლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო 2 ეგზემპლარი რჩება შემსყიდველს, ხელშეკრულების თითოეულ ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებას-თან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	ს/ს „გლობალ ერთი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691	
მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №150	მის: ქ. თბილისი, კედიას ქ. №4
რეკვიზიტები: ს.ს "პროკრედიტბანკი"-ს ც/ფ	ს/კოდი: 201949918
ა/ა GE 11 PC 01 3360 0100 0497 92	პროკრედიტ ბანკი ც/ფილიალი
	ა/ა GE60PC0133600100036106
ბანკის კოდი: 220101222	ბანკის კოდი: MIBGGE22
სამსახურის უფროსი	გენერალური დირექტორი
შალვა ჯავახაძე	გიორგი ძახიტაძე